საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №11
2022 წლის 28 თებერვალი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) 10^1 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების დროებითი ტარიფები:

ა)	220/380 ვოლტი:		
	2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე	-	17.072 თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი:		
	2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე	-	18.136 თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი:		
	2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე	-	18.120 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**